

ზემო იმერეთის რელიეფის სპელეოლოგიური კვლევები

გიორგი დვალაშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.dvalashvili@tsu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

ზემო იმერეთის კარსტული რელიეფის კვლევა იწყება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. მან თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ რამდენიმე კარსტული მღვიმე შეაფასა. ზემო იმერეთის კარსტული რელიეფის მეცნიერული კვლევას საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ტატაშიძემ. მან თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ყვირილის აუზის გეომორფოლოგიისათვის“ დეტალურად შეისწავლა მდინარე ყვირილის აუზში არსებული მღვიმური წარმონაქმნები.

ზემო იმერეთი მდიდარია კარსტული მღვიმეებით, რეგიონში 150-ზე მეტი მღვიმეა აღმოჩენილი, რომელთაგან რამდენიმეს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და წარმოადგენენ პალეონტოლოგიურ არქეოლოგიურ ობიექტს (დევისხვრელის, საგვარჯილის, ძუძუანას, უნდოსკლდის, ბონდის და კოტიას კლდის მღვიმეები). ეს კი საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ რეგიონში სათავგადასავლო, კულტურულ-შემეცნებითი და ექსტრემალური ტურიზმის განვითარება საკმაოდ ინტენსიურად წარიმართოს. სპელეოლოგიური ტურისტული ობიექტები მეტად პოპულარულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და წელიწადში ასობით ათასს ვიზიტორს მასპინძლობს. მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, უსაფრთხოების სამსახურის განვითარება სპელეოგამყოლების სახით და იმ მღვიმეების კეთილმოწყობა ვიზიტორებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლს, ხოლო შედარებით რთული კარსტული მღვიმეები კი ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის იქნება მიმზიდველი.

2017 წელს ზემო იმერეთის ტერიტორიაზე კარსტული რელიეფის კვლევები გაგრძელდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მიკვლეული იქნა რამდენიმე ახალი კარსტული სიცარიელე. მათ შორის აღსანიშნავია 2 კილომეტრზე მეტი სიგრძის დათას მღვიმე სოფელ სვერში, კარსტული მღვიმე „სლოვაკეთი“ სოფელ ზოდში და ახალი კარსტული მღვიმე სოფელ პერევისაში. მანდაეთის უნიკალურ მღვიმეში ერთ-ერთ გამორჩეულ კარსტული ფორმებით მდიდარ დარბაზს ეწოდა პროფესორ ზურაბ ტატაშიძის სახელი.

Speleological studies of Upper Imereti relief

Giorgi Dvalashvili

Email: giorgi.dvalashvili@tsu.ge

Department of Geography, Faculty of Exact and Natural Sciences, Iv.Javakhishvili Tbilisi State University, 0179, Tbilisi, I.Chavchavadze #3

Research of Upper Karate relief of Upper Imereti starts with Vakhushti Bagrationi. He described in his work "Description Kingdom of Georgia" several karst caves. Professor Zurab Tatashidze, the Doctor of Geography Sciences, laid the foundation for scientific research of Kartveli relief of Upper Imereti. He studied in his candidate dissertation "Geomorphology of the Kviris Basis" in detail in the river Kviril basin cave formations.

Upper Imereti is rich in karst caves, more than 150 caves have been discovered in the region, some of which have been granted status of cultural heritage and are a paleontological archaeological object (Davevichreli, Sagdali, Breasts, Undosclud, Bond and Kothi rock caves). This creates grounds for the development of adventure, cultural and cognitive and extreme tourism in the region rather intensively. Speleological tourism objects are popular in many countries around the world and hundreds of thousands of visitors are visited every year. It is important, first of all, the development of security services in the form of spectacles and the caves for the visitors who represent the archaeological monument of world importance, and the relatively complex karst caves will be attractive for amateur tourism enthusiasts.

In 2017, karst terrain surveys in Upper Imereti area continued using modern technologies. Several new karst gaps have been detected. It is worth mentioning that the cave in the village of Sveri, Kartveli cave, Slovakia "village Zodi and a new karst cave in the village Perevi is worth mentioning. In the unique cave of Mandate, one of the outstandi